№ 15 2 თებერვალი, ქვირა 1866—1875 2 თებერვალი, ქვირა № 15

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

რედაქცია

მოღწინის (აბას-აბატის) მაედანზე, Ორღლანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანც. ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება

ბიბლიოთეკა

ამ 1875 წელს გაზეთი

„დროება“

კვირაში სამჯერ გამოდის

კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

გაზეთის ფასი

ერთის წლისა—8 მან., ნახევარის წლისა —4 მან. და 50 კაპ.

ხელის მოწერა

მიიღება რედაქციაში: მოღწინის (აბას-აბატის) მაედანზე, Ორღლანოვის სახლებში და აგრეთვე მელიქიშვილის სტამბაში. გარეშე მცხოვრებისთვის ადრესი: *Въ Тифлисѣ. Въ редакцію газеты „Дроэба“*

საქართველო

თფილისის საზოგადოება ურთიერთის ნდობისა

თფილისში ყველამ იცის, რომ ამ ურთიერთის ნდობის საზოგადოებასა და კომმერციულ ბანკს კასტური ხასიათი აქვთ, რომ, თუ ვაჭარი სოფლისა არა არის, ამ ბანკებიდამ სარგებლობას მაგრე ადვილათ არ უნდა მოელოდეს.

ამისთვის ამ ორი ბანკის გამგებელნი მაგდენათ გასაკიცხავნიც არ არიან: სჩანს, თავისთვის გაუმართავთ ბანკები და უფლება აქვთ მხოლოთ თვითონ ისარგებლონ...

დაჭტკიცებულის წესდებულების § 4 მუხლის ძალით, უმცირესი კრედიტი ზემოხსენებული საზოგადოებისა არის 300 მანეთისა ე. ი. თუ 30 მანეთი არ შეიტანე თავიდამვე და ამ ნაირად 300 მანეთის კრედიტი ვერ გაიკეთე, ისე წევრად არ მიგიღებენ. ცხადია, რომ ამ მუხლით საზოგადოების დამაარსებლებს მხოლოთ ის სურდათ, რომ წვრილმანი ხალხი, ღარიბები, რომელთაც, ესთქვათ, ხუთი მანეთის ან თუმნის, ორი თუმნის მეტის შეტანა არ შეუძლიანთ, თავის წევრებად არ მიეღოთ. უდიდესი კრედიტის მიცემა კი არ არის განსაზღვრული, ეს საზოგადოების რჩევაზეა დამოკიდებული, — კიდევ დამტკიცება იმისა, რომ ბანკი მხოლოთ მდიდარ-შეძლებულისთვის არის გამართული და არა ღარიბების ხელის მოსამართავად.

მაგრამ, როგორიც უნდა იყოს, დამტკიცებულ წესდებულებაზე ლაპარაკით ახლა არა გამოვა რა. უფრო დაახლოებითი მოვალეობა ამ საქმეში იმ საზოგადო კრების საქმეა, რომელიც როგორც ისმის, ამ თებერვალში იქნება.

მაგრამ ჩვენ ყურამდი მოაწია ერთმა ამბავმა, რომელიც ღირსია ალნიშვნისა, რომელიც ამ ურთიერთ ნდობის საზოგადოების წესდებულებას პირ-და-პირ ეწინააღმდეგება:

ერთს წევრს თავის საკუთარი სახლი წარუდგენია საზოგადოებაში გირაოთ და ფულები უთხოვნია. რამდენიმე თვის წვალებისა და თრევის შემდეგ, საზოგადოების დამფასებლებს, როგორც იყო, დაუფასებიათ ეს სახლი. მაგრამ ურთიერთ ნდობის საზოგადოების რჩევას უთქვამს ამ კაცისათვის, რომ რადგან თქვენი სახლი ხუთასს თუმანზე ნაკლებად დავაფასეთ, ამის გამო საზოგადოებიდამ თქვენ კრედიტი ვერ გექნებათ, ამ სახლის გირაოთ ფულს ვერ მოგცემთო...

რა კანონის, რომელი წესდებულების ძალით მოქცეულან ამ გვარად—აბა, ამის კითხვას ბანკის პატრონებს ვინ გაუბედავდა: ფულის აღების მსურველი დაღონებული, კუდ-ამოძუებული დაბრუნებულა შინისაკენ...

ბევრი ამგვარი შემთხვევა გაგვიგია; ბევრისთვის არ მიუციათ კრედიტი, ზოგი სულაც არ მიულიათ საზოგადოებაში მხოლოდ იმისთვის, რომ ქართველები არიანო...

ურთიერთ ნდობის საზოგადოების წესდებულებაში [მუხლი 12] პირ-და-პირ ესე სწერია:

„თფილისში და თფილისის გუბერნიაში მყოფი უძრავი ქონება მიიღება გირაოთ და მიეცემა საზოგადოებიდამ დაფასებულის ჯამის ნახევარი.“

ამავე მუხლის შენიშვნაში მოხსენებულია:

„პატარა ჯამის ვექსილებს დიდი ჯამის ვექსელებზე უპირატესობა აქვს და მოკლე ვადიანს დიდს ვადიანზე.“

მაშ რისთვის არ მიეცა კრედიტი ამ სახლის პატრონს, რომლის დანაშაული მხოლოთ ის არის, რომ მირიმანოვის სახლისთანა სახლი არა აქვს? რისთვის არ მოუმართა ხელი საზოგიდოებამ ამ წვრილ მემამულეს, თუ კი მართალია, რომ „პატარა ჯამის ვექსელებს დიდი ჯამის ვექსელებზე უპირატესობა აქვთ? იქნება იმიტომ რომ ეს კაცი ქართველი იყო?

ათასი ამგვარი მაგალითების შემდეგ, სომხური გაზეთები კიდევ ჩვენ გვესაყვედურებიან, რომ ჩვენსა და თქვენს შუა უკმაყოფილებას სთესამთო, ჩვენთან კავშირი და ერთობა არ გინდათო!.

ს. მესხი.

დღიური

□ მუთაისის სასულიერო შკოლის თაობაზე კარგს ამბებს არა გვწერენ. ამბობენ, რომ სასწავლებელში ძველი წესები მოუშლიათ და ახალი ვერ შემოუღიათ; საზოგადო სწავლის საქმე ძალიან არეულ-დარეულად მიდისო.

ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ეს ამბავი მართალია. სანამ ჰემინარიას გახსნიდნენ, ეს ერთად-ერთი სასწავლებელია ჭუთაისის გუბერნიაში, სადაც განათლების მოსურნე იმერეთის სამღვდელოების შვილებს ცოტაოდენი სწავლის მიღება მაინც შეუძლიანთ.

□ ხონის საქალებო უფასო შკოლაზე კიდევ უარესს ამბავს იწერებიან, ხონის საზოგადოებას ამ შკოლისათვის ცალკე ქვით-კირის სახლი აუშენებია და არც სხვა რამე შემწეობა დაუკლია, მაგრამ სწავლა შკოლაში ხეირიანათ არ მიდის თურმე და ამ საქმეში მასწავლებელ ქალს ემდურიან. საეჭო შკოლის საქმეც ამაზე უკეთ არ მიდის თურმე, როგორც „თფილისის მოამბეში“ სწერენ: სახლი აუშენებიათ, მაგრამ დახურვაზე კი არას ჰფიქრობენ და ყმაწვილები სიცივით იყინებიან...

ესვე კორრესპონდენტი გვაცნობებს, რომ ზოგიერთ პირებს ხონში საზოგადო ბიბლიოთეკის გამართვა განუზრახავთ; რამდენიმე რუსული ჟურნალი და გაზეთიც გამოუწერიათ, მაგრამ კორრესპონდენტს უკვირს, რომ ამ ბიბლიოთეკაში ერთად-ერთი ქართული გაზეთი და არც სხვა რამ წიგნი არ დაუბარებიათ....

□ იმის დასამტკიცებელად—თუ აქაური გაზეთები რა მსწრაფლად აცნობებენ ახალ ამბებს თავის მკითხველებსა—შემდეგი მაგალითი მოგვყავს:

ოცი თვე იქნება, რაც „დროების“ რედაქციამ გამოაცხადა, რომ მომავალი 1875 წლიდამ გაზეთი „დროება“ კვირაში სამჯერ გამოვაო; ერთმა თვემ კიდეც გაიარა, რაც ეს გაზეთი კვირაში სამჯერ გამოდის,—და „ქავკაზმა“ კი მხოლოთ ახლა აცნობა

ფელეტონი

იმერლები

რომანი

პირველი თავი

IV

არჩევანი

— იცი, განაგრძო Оუცნიამ, ძველ დროში ხელოსნები რა ნაირად აბეზღებდნენ ბატონებთან მათს უსიამოვნებებსა? მოვიდოდენ და ეტყოდენ: ბატონო დიდი ჩხუბი მომხვიდა ამა და ამ გლეხთან, მაგრამ მე რას შემეპუებოდა, როდესაც თქვენც ალარათ გაგდებსთ. ასე სთქვა: ვინ გდია ბატონიო? ბევრი უკადრისიც გაკადრათ და სხვანი... — ჰმ... რას იტყვი ამაზედ?

— არაფერს! მააქნია თავი. მგ საშუალობა ძალიან მოკლე ფეხებიანია... მაგაშიაც შევრცხვებით: ოდესმე ალარ დაგვიჯერებენ!.

— მანა ახლა კი სჯერათ? „მიზეზ-მიზეზით დოს მარილი აკლიაო“.. ხომ გაგვონია? იქედამ მიზეზს ეძებენ და აქედამ ჩვენ ვეძლიოთ ხელში.

— კი, მაგრამ მაშინ უნდა ვეძლიოთ, რომ ხელი ეკიდებოდეს და ისე შეძლება კი საცინლად აგდებას ემსგავსება და ოდესმე...

— ოდესმე! ოდესმე!! კიდევ ოდესმეო?! დაანებე თავი მაგ ოდესმეებს! ახლა!! ახლა!! ვერ შეიტყე, რომ მე ოდესმეს არ ვეცდი!? ოდესმე ჩემს საფლავზედაც იმყოფონ!

— დიახ, მაგრამ ეს „ოდესმე“ შორს ალარ არის; სარკმელში გეიჭერეტს და ძილი ალარ გემართებს.

— მაშ ყოველიეე გზას მისპობ? გადაგიწყდეს! ალშფოთებით ჩაფიქრდა ქუნია.

— მაშ სხვა ალარა იცი რა? რომ მოინდომო, ვერ მოიგონებთ სხვა რამ საშუალობას უფრო საფუძვლიანს?

— ვერა! გათავდა!! Оუცნიამ რალაც სულის სიამაყით შეხედა თავის ნამოძღერალს და ცბიერობით უთხრა: „მე ვიცი!.. ქუნიამ გაოცებით შეხედა Оუცნიას, თითქოს უნდოდა ეთქო: ბიჭო, მე თუ ველარას ვახერხებ, შენ რალა კეთრცხები შეგიძლიანო?. მაგრამ Оუცნიამ ბრძნულად დაიწყო:

— ბუნების ნებაა, ყვავილებში ეკლების გამოჩენება, სადაც ხორბალი ამოდის, იქ ღვარძლიც თან ამოჰყვება ხოლმე.—მს კანონი არ შეადგენს ერთის წლის ანუ მხოლოდ ერთის მოსაელის კუთვნილებას!... შოველწლიურია!! შარშანდელ პურსაც ისე მოჰყვება ღვარძლი და გორეალა, როგორც წლევანდელს, როგორც მომავლის წლისას და სხვ... ხალხიც ამ კანონს ექვემდებარება: ყველას დგმაშია თავისი ყვავილებიცა და ეკლებიცა. დღეს რომ ახალ-თაობათ იხსენებიან, იმათშიდაც ურევიან უმნი-

თავის მკითხველებს, რომ ამ წლიდამ ქართული გაზეთი „დროება“ კვირაში სამჯერ გამოდისო!...

□ ამას წინათ ვაცნობეთ მკითხველებს, რომ ორი ტერ—ბაბრიელიანცი და მელქისედოვი რუსულ-ქართულ — სომხურ ენებზე ერთი გაზეთის გამოცემას აპირებდნენ. ჩვენ შევიტყეთ, რომ იმათ, ნებართვა არ მიუღიათ. ახლა ისმის, რომ ვიღაცა ერთი რუსული გაზეთის გამოცემას კიდევ აპირებს თფილისშიო; ამბობენ, ამ გაზეთს სახელად „Кавказскій Міръ“) ერქმევაო.

□ „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილის ცნობებიდამ სჩანს, რომ შარშან მაკარიის (ნიკე-გოროდის) იარმუკაზე კავკასიიდამ, დარუბანდიდამ, ყველაზე უფრო მომეტებული ენდრო მოუტანიათ გასასყიდლათ. სულ იარმუკაზე 338,000 ფუთი ენდრო ყოფილა მიტანილი (1,631,000 მანეთის), თითო ფუთი ხუთ მანეთად და ხუდად და ხუთმეტ შაურად ისყიდებოდა ასე რომ ეაჭრები ფუთში თითქმის ათ შაურამდი აგებდნენ. 1868 წლიდამ 1872 წლამდი ფუთი ენდრო 8-11 მანეთამდი ღირდა; მაგრამ მას შემდეგ რაც მაღნეული საღებავი (ანილინი და ალიზარინი) მოიგონეს, ენდროს პატივი შემოაკლდა, რადგან ფაბრიკებს ეს საღებავები უფრო იაფად უჯდებად.

ამას გარდა მაკარიის იარმუკაზე შარშან ბლომათ მოუტანიათ ყიზლარის ღვინო (იყიდებოდა ვედრა—2 მან. და ორ აბაზათ), ნაეთი, რომელიც 900,000 ფუთი მოიტანეს (1,575,000 მანეთის), ბეწვეული 500,000 მანეთის გაისყიდა, ერევნის ბამბა (სულ 3,000 ფუთი) და სხვაი. ველა ეს საქონელი კარგა მოგებით გაუყიდნიათ.

□ თფილისის სასწაველებლებში გალობის ოსტატს უფ. ჩიჟოეს გამოუცია კრება იმ პიესებისა, რომელთაც აქაურს სასწაველებლებში ასწაველიან. „კავკაზში“ სწერენ, ესეც ჩიჟოეი მალე ქართულსა და სომხურს ენაზედაც აპირებს შკოლებისათვის მუზიკის სახელმძღვანელოს გამოცემასო. რას იტყვის ამაზე ჩვენი მუზიკანტი უფ. ა. მიზანდარი?!...

□ ბაქოდამ იწერებიან „თფილისის მოამბეში,“ რომ დეკემბრის 31 და იანვრის 1 კასპიის ზღვაზე საშინელი ღელვა ყოფილა და სპარსეთის ნაპირზე ბევრი გემები დაულუპავს. ერთი გემი ზღვის ნაპირზე გამოუგდია, მაგრამ შიგ მსხდომი ასი კაცი ყველა დაღუპულა.

□ „მოსკოვის უწყებებში“ სწერენ: ჩვენ გვწერენ, რომ მმართებლობას მიუღია კავკასიის ნამესტნიკის წარდგენილობა, რომ კავკასიის იქითა მხარში ორი სამხედრო გიმნაზიის გახსნა აუცილებელ საჭიროებას შეადგენსო.

□ ხვალ, ორშაბათს, 3 თებერვალს თფილისის საზაფხულო თეატრში ქართული სცენის მოყვარენი გ ერისთვის კომედიას — ბაყრას-ითამაშებენ. ამ წარმოდგენისაგან შემოსული ფული დანიშნულია თელავის წმ. ნინოს ზაედენიის სასარგებლოდ, ბილეთის მიღება დღეანდელი დღიდამ თეატრის კასსაში შეიძლება.

„დროების“ კორრესპონდენცია

ქ. ბორი, 26 იანვარი

ჩვენ ბაწყწა ბორში რაც ამბები ხდება, იქნება, შედარებით რომ ვსთქვათ, სხვა საქართველოს ქალაქებში არ მოხდეს: კაცის გაკილვა, ძაგება, შურის ძიება, ერთმანერთის ფარისეველური სიყვარული, მდაბალთაგან მაღლების თეფშების სლანქვა და ლოკვა, დაუნობლობა, ჰორიკობა, ქურდობა, ავაზაკობა და სხვ.

ერთი სიტყვით, რაც კაცის ღირსების დამამცროებელი თვისებანი არიან აქ, ბორში, მკვიდრი საფუძველი აქვთ ჩადგმული; ისე ღრმათ აქვთ მათ თვითეულ საზოგადოების პირობენებაში გადგმული ფესვი, რომ სისხლ-ხორცად აქვსთ ნაქცევი, სრულ კეთილ საქმეებათ მიაჩნიათ და თუ გაკიცხვა შეჰბედეთ, ვაი თქვენი ბრალი, ახლოს აღარ გაგატარებენ.

ბორული მატრაბაზობა და უკადრისობა ხომ გათქმულია ხმელეთზედ მასაო. რას იტყვის ამაზე ჩვენი მუზიკანტი უფ. ა. მიზანდარი?!...

□ ბაქოდამ იწერებიან „თფილისის მოამბეში,“ რომ დეკემბრის 31 და იანვრის 1 კასპიის ზღვაზე საშინელი ღელვა ყოფილა და სპარსეთის ნაპირზე ბევრი გემები დაულუპავს. ერთი გემი ზღვის ნაპირზე გამოუგდია, მაგრამ შიგ მსხდომი ასი კაცი ყველა დაღუპულა.

□ „მოსკოვის უწყებებში“ სწერენ: ჩვენ გვწერენ, რომ მმართებლობას მიუღია კავკასიის ნამესტნიკის წარდგენილობა, რომ კავკასიის იქითა მხარში ორი სამხედრო გიმნაზიის გახსნა აუცილებელ საჭიროებას შეადგენსო.

□ ხვალ, ორშაბათს, 3 თებერვალს თფილისის საზაფხულო თეატრში ქართული სცენის მოყვარენი გ ერისთვის კომედიას — ბაყრას-ითამაშებენ. ამ წარმოდგენისაგან შემოსული ფული დანიშნულია თელავის წმ. ნინოს ზაედენიის სასარგებლოდ, ბილეთის მიღება დღეანდელი დღიდამ თეატრის კასსაში შეიძლება.

„დროების“ კორრესპონდენცია

ქ. ბორი, 26 იანვარი

ჩვენ ბაწყწა ბორში რაც ამბები ხდება, იქნება, შედარებით რომ ვსთქვათ, სხვა საქართველოს ქალაქებში არ მოხდეს: კაცის გაკილვა, ძაგება, შურის ძიება, ერთმანერთის ფარისეველური სიყვარული, მდაბალთაგან მაღლების თეფშების სლანქვა და ლოკვა, დაუნობლობა, ჰორიკობა, ქურდობა, ავაზაკობა და სხვ.

ერთი სიტყვით, რაც კაცის ღირსების დამამცროებელი თვისებანი არიან აქ, ბორში, მკვიდრი საფუძველი აქვთ ჩადგმული; ისე ღრმათ აქვთ მათ თვითეულ საზოგადოების პირობენებაში გადგმული ფესვი, რომ სისხლ-ხორცად აქვსთ ნაქცევი, სრულ კეთილ საქმეებათ მიაჩნიათ და თუ გაკიცხვა შეჰბედეთ, ვაი თქვენი ბრალი, ახლოს აღარ გაგატარებენ.

ბორული მატრაბაზობა და უკადრისობა ხომ გათქმულია ხმელეთზედ ასრე გაშინჯეთ, გორელების მატრაბაზობა ანდაზად და გასაკიცხ სიტყვად გამხდარა: „ჰაი შე გორელო, მატრაბაზოო“!—ეს სიტყვები რომ გააგონოთ გორელს მარტირუზასავით ასკაკუკას იცეკვებს....

მაგრამ ამ ზოგიერთი გორელების ცუდ თვისებებზედ ლაპარაკს ჯერჯერობით თავი დავანებოთ. დავიწყოთ დღიურ შემთხვევაებზედ.

ვიცით, რომ ქურდობის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი არის ხალხის სიღარიბე. ბორში ღარიბი სახლობა, მეტადრე ქართველობა, ნაკლებად არ არის. მაგრამ იშვიათად ხდება ქურდობა (თუმცა ზოგიერთი პოლიციის ჩინოვნიკებს მღვიძარებით ძალა არ მოსდით). მაგრამ თუ მოხდება ქურდობა ბორად.

ამას წინეთ ბორში გასტეხეს ფარჩის მაღაზია უფ. მექერიშვილისა. არც კარგი და კარგი იყო, იმ დალოცვილებს ის გაეტანათ. არ გასულა დიდი ხანი, ქურდებს ნაპარევი ერთს ცალი მიჰქონებიათ სურამისკენ. პატრონს უნახავს ბორის ეგზალზედ ეს ცალი და უცვნია. მაშინვე დაფაცურდა. კითხება—თუ ეს ცალი ვინ მოგცათ. ჭურდები გამშრალან. ბახსნიან ცალს, ზემოდგან სხვა რამეები ჰფარავენ; ხოლო ქვეშ ფარჩა. უცვნია ფარჩაც პატრონს. ეს მაშინვე შეატყობინეს პოლიციას და ქურდებს გასთოკავენ. აღმოსჩნდება, რომ ქურდებს მოუტანიათ ნაპარევი ფარჩა უ—შვილის ცოლთან. ერთი ქურდი ამ ქალის შვილი ბძანებულა და მეორე მულის წული. უნახეს სახლი და ყუთებში იპოვეს ფარჩეულობა. აღი მოჩნდება კიდევ, რომ ამ ქალს ს. შერთულში ნაპარევი ნათესავთან გაუგზავნია გასასაღებლად. ეს ბრძანდებ. დიაჩოქი ოსეთში რ. დ. ძალიან თავმამწონე, რადგან აზნაურობაში თაესა სდებს. ბაქანდნენ ს. შერთულში, რომელიც გორზედ თხუთმეტ, ვერსზედ მდებარეობს. აქაც იპოვეს ფქვილის გოდრებში. სახლის პატრონი დიაჩოქი არ ბრძანებულიიყო შინ. და საცოდავი ცოლშვილი დაწიოკდა, რომელიც ამ შემთხვევაში უვალოა

კერძო პირებისგან გავიგე, რომ ვითომ ამ ეაჟბატონს უბძანებია: „აქ გამამგზავნეთ ე რაღაც ფარჩაო დ მე სულ ხუმრ მანათებზე „ვაკვიერი“ ჩამოაბძანეს ესეც ბორში.

მაგრამ ბოლოს საქმე გაირკვა და როგორც დღეს დილით გავიგე უ—შვილის ცოლი, ეს დ. და ერთი კიდევ ამათი ნათესავი ჭსნის ხეობიდგან—უვალონი არიან ამ საქმეში, დედა-კაცს სრულებით არა სცოდნია თუ ეს ნაქურდალია; დ. ერთი ქურდისაგან ზ—საგან, რომელიც გაკოტრებული ბაზაზი ბძანდება, ექვს თუმნად უყიდნია ამისაგან ფარჩა. მე დუქანს ვალაგებო, უთქვამს იმას, და იაფად მოგცემო. სამი თუმანი ხელში მიუცია და სხვა დარჩენილა. ამას, დ. ჭსანზედ გაუგზავნია ნათესავისათვის: მანდ უფრო გაიყიდებაო. ერთი ქურდი, რომელიც მულის წულია დედა-კაცისა, ამბობს ნამდვილს რომ ამ საქმეში ჩვენ სამის მეტი არა ვინ ურევია, ტყუილად ნუ სტანჯავთ სხვებსაო. ესრეთ გათავდა ეს აყალ-მაყალი.

ს. ზაქარიძე

წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო! მართალია, მრავალ გზის გსმენიათ სხვა და სხვა ამბები მკითხაობაზედ, მაგრამ რადგანაც ეს ახალი შემთხვევაც ღირსია ყურადღებისა, ამისთვისა გთხოვთ მისცეთ ადგილი ამ მცირე შემთხვევას, რომელიც მოხდა ამას წინათ მახლობლად ჭუთაისისა ს. ბუბს, სადაც სცხოვრებს ერთი სახელ-განთქმული მკითხავი.

ეს მკითხავი, თავისი საყვარელის ხელობით დიახ კარგი მდიდარია და მცხოვრებნიც დიდად მადრიელნი არიან იმაზედ, რადგანაც ასში ორჯელ მართალი შეიქნა მისგან რჩევა. იმას კი არ აცხადებენ, რომ მისგან მწარე ბალახით შეზავებულმა წამლებმა ბევრი მიაწვინა.

ერთი გლეხის ცოლი ამას წინათ ავათ გახდა და ეს მკურნალი მოიყვანეს. მკურნალმა უთხრა: ამ ავათმყოფობის მიზეზი სულ შენი რძალის საქმეაო, ის ღამე გულზედ გაჯდებაო და გულის ამოჭმას გიპირებსო. ამ ღამეს დედა-კაცს ჯავრით ბევრი რაღაებიც ელანდებოდა. შუა ღამის თორმეტ საათზედ ამ ავათ-მყოფმა დიდის ეაი-ეაგლახით—კიეილ-წიეილი მორ

შენელო ნამყოფებთან ერთად, თანამედროული ეკლები და „იგინი“ ჩვენის დროის ეკლებს არ დაუვარდებიან ჯვრაფერში.

სიტყვა „იგინი“ ბუცნიამ იმ განზრახვით იხმარა, რომ განესხვავებინა სიტყვისაგან „ისინი,“ რადგანაც ეს ორი ლექსი: „ისინი“ და „იგინი“ სულ სხვა და სხვას ორს ერთმანეთის წინააღმდეგ—კრებასა ნიშნავდა. დიახ,—არა თუ დაუვარდებიან, კიდეეც გადააჭარბებენ, მაგრამ რადგანაც ბრმა ხალხი ჯერ პირდაპირ არ დაჭანცულა მათგან, ეერა ნიშნავს და კიდევ დიდი დროც უნდა, რომ შენიშნოს... მანამ კი ჩვენ უნდა ვისარგებლოთ მათით.

— როგორ? ჰკითხა ბუკნიამ და თვალებზედ სიხარულის ცრემლები მოადგა.

— „ისინი“ და „იგინი“ უნდა ერთმანერთს შევატაკოთ და ჩვენ კი საითკენმე, მიფარვით განზედ გავსდგეთ. „ისინი“ თუ ყვავილები არიან ჩვენ დასაწყლულებლად, საწამლავის გამმღებლები „იგინი“ ხომ ეკლები არიან და ჩვენც მათის საშუალობით უნდა გავიკეთოთ წყლულები.

— მანაგრძევ! ღმერთმა ხელი მოგიმართოს!.. მუბნებოდა აღშფოთებით მხუცი და რაღაც უცნაურის მოწიწებით ყურს უგდებდა ორატორს.

— „ისინი“ და „იგინი“ ხალხის თვალში ერთნი არიან; ორნივე ახალთაობის კაცებად ითვლებიან, ორივეზედ დიდი რწმუნება აქვსთ და იმ ორში მხოლოდ იმას მისცემენ უპირატესობას, რომელიც უმალ ამაღლდება და მაშ ჩვენ უნდა ვეცადოთ „იგინის“ ამაღლებას: გამოცდილ-მებაღეებსავით მოეუწყოთ ხელი იმ ეკლებს, გარს სუროებათ შემოეხვიოთ, ვეცადოთ მათს გახარებას, მათს ამაღლებას, ისე რომ მათის ჩრდილოსაგან „ისინი,“ ყვავილები, დაიჩრდილონ და მაშინ... „ჩვენი ჩვენთან“! იგინიც იძულებულნი იქნებიან, მხარი მოგვცენ და ამ გვარად მდაბალი ხალხი კიდევ ვერ მოიხდის უნაგირს! ვხედნოთ სიკვდილამდე!!

ახალგაზდა ორატორი ისეთის გრძნობით ღა ღადებდა, რომ სახე წამ და უწუმ ეცვლებოდა და მოხუცი, ვითარცა გენიოსს, მოწიწებით უყურებდა და თანაც გული ეუბნებოდა: „გიხაროდეთ და მხიარულ იყავნ, რამეთუ მოძღვრება შენი ფრიად არს გულსა შინა მისსაო“! როდესაც გაათავა ბუცნიამ თავისი წინა-დასკვნა, ბუკნიამ სტაცა მას ხელი, ჩაიკრა გულში და შემოსძახა: ვხედავ, ჯერ კიდევ ჩვენია ბურთი და მაედანი, სანამ შენისთანაები გვყავს! შეატაკე „ისინი“ „იგინის“, დეე, დაგლიჯონ ერთმანერთი ძაღლებმა... სსსიიი!. ჰკა მაგას!!.. დღეის იქით აბა შენ იცი, კურძუალო!...

აკაკი

(გაგრძელება)

—

თო. საბრალომ დიდხანს იკიელა, შემდეგ როცა მეზობლებმა გაიგონეს ეს კივილი, მისცვივდნენ, შამოესიენენ დედა-კაცსდაჰკითხავდნენ:რასთვის კივოდიო. ოფლში გაწურულმა ავათ-მყოფმა სთქვა, რომ ჩემი რძალი კოლოთ გარდაქცეულ იყო, მოვიდა, გულზედ დამაჯდა და გულის ამოჭმას მიპირებდაო; ახლა დავიჭირე და ხელში მყავსო.

დედა-კაცებმა მოილაპარაკეს და გარდაწყვიტეს, რომ ჩვენ მკურნალს დაუძახოთო. მოიყვანეს მათი საყვარელი მკურნალი, რომელმანც დიდის ჯაფით კოლო ხელში გამოართვა და სთქვა, რომ თუ გსურს, ამას ცალ ფრთავ და ფეხს მოეგლეჯო და ხვალ ნახავთო, რომ ამ ავათ-მყოფის რძალს ცალი ხელი და ფეხი არ ექნებაო.

დედა-კაცები, შემდეგ დიდის მოლაპარაკებისა, დაეთანხმენ და მკურნალმა მოგლიჯა ცალი მხარი და ფეხი. ეს დედა-კაცები გათენებამდის დიდს განცხრომაში იყვენენ. როცა ირაყრაჟა, დედა-კაცები მკურნალიანათ ავათ-მყოფის რძალთან წავიდნენ და ნახეს, რომ ის ჩვეულებისამებრ მშვიდობით გახლდათ.

შემდეგ ამისა, როცა ეს ამბავი გაიგეს, ამ ახლო-მახლო მცხოვრებლებმა მკურნალი აღარ ინდომეს, თუმცა მთლათ არც ჯერ დაუვიწყნიათ.

ს. წერეთელი

რუსეთი

☆ სახალხო განათლების სამინისტროს ისეთი სამასწავლებლო სემინარიის გახსნა განუზრახავს, სადაც მარტო ქალები ისწავლიან და მასწავლებლებად მოემზადებიან. ეს სემინარია გაიხსნება ვილენის საქალებო სასულიერო სასწავლებელთან. ამ თავით მმართებლობა ხუთმეტ ათასს მანეთს ნიშნავს სემინარიისთვის იმ პირობით, რომ ამ ფულებით 40 ქალს სახელმწიფო სტიპენდია ეძლეოდეს; სტიპენდიატკები სწავლის გათავების შემდეგ, ვალდებულნი იქნებიან რამდენსამე წელიწადს რომელსამე სასოფლო შკოლაში იმსახურონ.

☆ ამას წინათ ხარკოვში სოფლის მეურნეობის წარმომადგენელთ კრება ყოფილა, რომელსაც, სხვათა შორის, იმ გარემოებაზე მიუქცევია ყურადღება, რომ სამხრეთ რუსეთში მიწას თან და თან აკლდება ნოყიერებაო და ამისთვის პატივისა და სხვა გასანოყიერებელი საშუალების ხმარება უნდა გავაერცელოთ ხალხშიო.

☆ ერთი ამნაირიეე კრება დონის მიწის მემამულეებსაც ჰქონიათ; ამათ გადაუწყვეტიათ კაპიტალის შედგენა (15 ათას მანეთამდი), რომლითაც უმაღლესს სამეურნეო სასწავლებლებში მცოდნე მემამულეები უნდა გამოზარდონ.

☆ ძალაქს რეჟიცში დაუტუსაღებიათ ერთი რასკოლნიკი, რომელიც ცოლის შეურთველობას უქადაგებდა თურმე ხალხსა. როცა დატუსაღებული მქადაგებელი პიტებსკში წასაყვანად რკინის გზის სტანციასთან მიიყვანეს, ხალხი ტრილით და ქვითინით მიჰყობოდა თურმე და პოლიციას ეევდრებოდა: გაუშვით, ეგ ჩვენი დამხსნელი და მცხონებელი არისო.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი. თფილისში მოსული ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ იანვრის 30 (12) ვერსალის ნაციონალურს კრებაში მეორე პალატის ანუ სენატის წევრების ამორჩევაზე ყოფილა მოლაპარაკება. 632 ხმიდამ 322 ხმის უმეტესობით (310 ხმაზე) ნაციონალურ კრებას მარცხენა მხრის დეპუტატი — პასკალ—დიუპრას წინადადება დაუმტკიცებია. ეს წინადადება, როგორც აქაური გაზეთების დეპეშა გვაცნობებს, იმაში მდგომარეობდა, რომ სენატის წევრები იმავე წესით, იმავე ამორჩეულებისაგან უნდა იყვენენ ამორჩეულნი, როგორც ნაციონალური კრების წევრნიო. ბასის დროს, მარცხენა მხრის ყველა დეპუტატს ამ წინადადების მხარე დაუჭერიათ, იმათ მიმხრობიან აგრეთვე ბონაპარტიელები. მარჯვენა მხრის დეპუტატების მომეტებული ნაწილი კი წინააღმდეგნი ყოფილან.

იტალია. ერთს ფრანკუზულს გაზეთში რომიდამ გამოგზავნილი კორრესპონდენცია არის დაბეჭდილი, რომელშიაც დაწვრილებით აწერილია-თუ როგორ მიიღიათ ბარიბალდი იტალიის პარლამენტში. მოგეყავს ამ კორრესპონდენციიდამ ზოგიერთი ალაგები:

არასოდეს არ გვინახავს იტალიის პარლამენტი ისე გაესებული ხალხით და ამასთანავე ისე აღელვებული და აღტაცებული, როგორც იანვრის 25 იყო, როდესაც ბარიბალდის მოსელას მოელოდნენ. დეპუტატები თითქმის ყველანი თავ-თავიანთს ალაგზე იყვენენ; მაყურებელი საზოგადოების ლოჟები სულ საცე იყო გამოჩენილი კაცებით, უცხო ქვეყნების ელჩებითა და მდიდრულად მორთულ ქალებით.

დეპუტატი ფერრარი იყო კათედრაზე და გაცხარებულად მჭევრმეტყველობდა, მაგრამ იმის მჭევრმეტყველებას კაცი ყურს არ უგდებდა: ყველანი კარებისაკენ იყურებოდნენ, მოელოდნენ ბარიბალდის მოსელასა. ნასადილევის სამს საათზე უცრად კარები გაიღო და ვიღაც სამი კაცი შემოვიდა; დეპუტატებს და მაყურებლებს ბარიბალდი ეგონათ; შეიქნა ხრიალი, ხმაურობა, ფაცა-ფუცი. მაგრამ შესცდნენ: ბარიბალდი არ გამოდგა. ცოტა ხანს შემდეგ კიდევ გაიღო კარები. ეხლა კი ბარიბალდი იყო. ოთხი კაცი მოუძღოდა, რომელთაგან ორს ხელი ეკიდათ იღლიაში და ისე მოჰყავდათ. ეტყობა, ძალიან მოხუცებულა და დასუტებულა ეს საკვირველი კაციო, ამბობს კორრესპონდენტი.

დაინახეს თუ არა, იმწამსვე ამ უშველებელს ზალაში ერთი ყვირილი, „ბარიბალდის გაუმარჯოს“ ძახილი, ცხვირსახოცების ქნევა და ხმაურობა შეიქნა. განსაკუთრებით ქალების აღტაცების აღწერა არ შეიძლება. ჩემს დღეში ამისთანა მიღება არ მინახავს, არ გამიგონია, რომ ამისთანა აუწერელის სიხარულით ეისმე შეხვედროდნენ. კრების თავეს-მჯდომარე ნახევარ საათს არაწკუნებდა ზარს, ჯერ ეხვეწებოდა კრებას და საზოგადოებას—კმარა, დაწყნარდითო, მერე გაჯავრდა, გამოაცხადა, რომ, თუ არ დაწყნარდებით, განკარგულებას მოვახდენ, რომ პალატა დასცალოთო!.. მაგრამ იმის ხვეწნას და მუქარას ეინ უგდებდა ყურს. უველა ბარიბალდის შესცქეროდა.

ბოლოს პარლამენტი დადუმდა. პრეზიდენტი ადგა, მიჰმართა ბარიბალდის და დაიფიცა.

ესპანია. ესპანიის ახალ კაროლზე ამ თავითვე ისმის სამდურაეი, რომ ფრანგების პატრებმა ახლაეე ჩაიგდეს ხელში და როგორც უნდათ, ისე ათამაშებენო. სხვათა შორის იწერებიან, რომ დონ-ალფონსს ვამეფისათანავე ლოტრანგების ეკლესიები დაუკეტინებია და შემდეგ ისეე გაუხსნია. ამ გვარი მოქმედება ერთს და იმავე დროს სისუსტესა და პოლიტიკური ცხოვრების გაუგებლობას მოასწავებსო.

ქრონიკა

სტატია XIV

—

დავით როგორ გაუდგა მონგოლებს, იმათ მოიწადინეს მეფედ ამისი ძმის ვახთანგის გამეფება. დავითი შეშინდა და ზავისათვის ყაენთან გაგზავნა თავისი ცოლი ოლჯათი, რომელიც აბაღა-ყაენის და იყო. ყაინმა შეირიგა, თვითონაც მისცა მეფეს მძევლები და სთხოვა, ჩამთან მოდიო. დავითმა იმასთან მისელა არ ინება. მაშინ მონგოლებმა იმას ცოლი აღარ დაანებეს და ვიღაცა წარჩინებული ქართველი ბურსელი მოჰკლეს იმისთვის, რომ დავითმა, როგორც ამბობდა ბურსელი, ჯერ შეირიგება მოინდომა, მერმე კი უარი სთქვა. დავითს ცოლის არ დანებება ეწყინა; მაგრამ რაღას იზამდა.

„ხოლო ვითარ ჰსცნა მეფემან არღარა მოცემა ცოლისა თვისისა ოლჯათასი, იქორწინა ჭართლისა ერისთვის აჰმადას ასული, ფრიად ქმნულ-კეთილი (436 გვ.)

ამის შემდეგ დავითი შეიხიზნა მთიულეთს და იქიდგან იმერეთში გადასელა ჰსურდა; მაგრამ მონგოლებმა იმას მოასწრეს იმერეთში გადასელა. მეფე გამოედევნა იმათ უკან და მონგოლებმა ბელათში როგორ ვერ იპოვეს მეფე, უკან დაბრუნდნენ. ამ დროს ასტყდა საშინელი ზვავ-ქარი და იწყო თვითოეულთან თათარმან მოსვლა. ამათ წინ დაუხვდნენ მთიულები და თათრები ჭინჭარივით ჩაკაფეს. სადღაცა ზადუკის ხეეში იმდენი თათარი მოჰკლეს, რომ სისხლის ღერი დააყენეს.

ამ გვარი თარეშულად შეწუხებით დავითმა მონგოლები ძლიერ შეწუხა, მაგრამ მეფობას კი ვერაფერ ეღირსა, უფრო ამისათვის რომ ის თავის ძმას ვახთანგს უმიზეზოთ სდევნიდა. ვახთანგს სრულიად არ უნდოდა მეფობა; მაგრამ დავითი არ უჯერებდა და აწუხებდა. ბოლოს რომ შეწუხდა, ყაენის თხოვნა მიიღო და გახდა მეფედ. „ძართლის ცხოვრება“ 437 გვერ. ამბობს: იყო ვახთანგი ყოვლითურთ სრულ, სარწმუნოებითა მტკიცე, ეკლესიათა პატივის-მცემელ, მშვიდ და მდაბალ, არა მოშურნე, მყუდრო და უშფოთველ. ამისი ძმა დავითი კი ამაყი და მოშურნე კაცი იყო და ამისათვის მუდამ ძმის ენებას ეცდებოდა. ამ მიზეზისა გამო უნებურად ვახთანგს უნდა დაეჭირა მონგოლების მხარე და ძმასთან ომი აეტეხა. ნაცელად იმისა, რომ ძმას შეურიგდეს და მერმე ერთმანერთის შემწეობით მონგოლები დაემარცხოს დავითმა ქართლში და მთიულეთში შეკრიბა 15,000 მხედარი კაცი, და ერთ დღეს, როცა მონგოლების ჯარები გამოდიოდნენ თფილის ქალაქიდამ საზაფხულო ბანაკის ჩასაგდებათ, უეცრად თავს დაესხა და ისრეთი საშინელი სისხლის ღერა, მოახდინა, რომ მთიულებმა მონგოლები სრულიად ამოწყვიტეს. მაგრამ ამ დროს ვახთანგმა შემოუტია თავის ძმას, ასტყდა მათ შორის ძმა-ძმის მკელელობის ომი: დავით დამარცხდა და შიშისაგან დამბლად ჩაეარდა, ვახთანგმა ის დაიჭირა მაგრამ არ მოჰკლა.

ვახთანგი, როგორც რომ გულკეთილი და ძეირუხსენებელი მეფე იყო, ეგრეთვე თავის სამშობლო ქვეყნის მოყვარე და კეთილის-მსურველი. იმას ქართველის უბედურება თავის უბედურებათ მიაჩნდა და იყო კაცი გონიერი და მამაცი.

ამ დროს მონგოლების ყაენმა სპარსელებისაგან მიიღო მახმადის რჯული და სპარსელებისაეე ჩაგონებით მოინდომა საქართველოში ეკლესიების დაქცევა და ქრისტიანობის მოსპობაცა. ბრძანება გამოვიდა, რომ რომელი ქართველიც არ მიიღებს მახმადის რჯულს, უნდა მოიკლასო. ვახთანგმა ეს შეიტყო და ძლიერ ეწყინა. შეჰყარა მაშინვე საქართველოს დიდებულნი და ასრე უთხრა:

„კაცნო და ძმანო ერთ ჰსჯულნო! უწყით ჰსჯული მამათა მიერ, და უწყით ღვაწლნი და ახოვნებანი ქართველთ მოწამეთანი: აწ ნუ შეძრწუნდებით, და წარვიდეთ ყაინს წინაშე, და დავსდვათ სული ჩვენი მამულისა და ჰსჯულისათვის: პირველად ჩვენ მივცნეთ თავნი ჩვენნი სიკედილად, და მერე იყავნება ღვთისა, და მან დაიცვას სამწყსო თვისი. (444 გვერ.)

საქართველოს ჯარებმა, როგორც შეიტყეს ყაინის ბრძანება, მყისვე წარემართნენ მონგოლების ურდოსაკენ და მიეიდნენ ყაინის წინაშე. მამაცი ვახთანგი წარსდგა ყაინის წინაშე და ასრე უთხრა:

„ისმინე, მაღალო და ძლიერო ყაენო! ბრძანება თქვენი, რომ ყოველთა ქრისტიანეთა დაუტეოთ სჯული ჩვენი: აწ ისმინე:

ბედნიერთა პაპათა და მამათ თქვენთა მსახურა პაპამან და მამამან ჩვენმან, ამით ჰსჯულითა და არაოდეს გვასმიეს, თუ ჰსჯული ქართველთა ავი არს, არამედ უწარჩინებულეს ვყოფილვართ ყოველთაგან, და სპარსთა ჰსჯული უფროს საძაგელად შეერაცხა პირველთა უარ-ინთა. ამისათვისცა იგინი მოსწყვიდნენ, რამეთუ იყვნენ მწამლველ და მამამათ-მავალ და კაცის მკვლელ: და აწ თუ სპარსთასა სიტყვასა ისმენ, ყაინო, მე ვარ მეფე ქართველთა, და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი შენს წინაშე არიან, და სიკვდილად მე მზა ვარ, სიკვდილად ჰსულისათვის ქრისტიანობისა, და მერე ესე ყოველნი, შენს წინაშე მყოფნი ქრისტიანენი, თავნი ჩვენნი წარგვეყენეთ.“

ეს რომ გაათავა ვახთანგმა: წარუპყრა ქედი და უთხრა: აჰა თავი ჩემი ჯერ მე გამომჭერი ყელი, მერმე ქართველებსაო. უაინს გაუკვირდა ქართველების თავგანწირულება, უარი ჰყო თავისი განზრახულება და ბოდიში მოითხოვა მეფესთან, რომ იმისი ბრალი არ არის. „ქართლის ცხოვრება ამბობს:“

„ვითარ ესმა უაინსა სიტყვა ესე, განჰკვირდა და პატივსცა მეფესა, და სიტყვითა ტკბილითა ალაგდინა და შეინანა დაბრალება „რომელთა აქმნევინეს.“

ასრეთი იყო მეფე ვახთანგი მე-III და მეფობდა 1301 წლიდგან ვიდრე 1307 წლამდე.

ინგილო ზანაშვილი

ნარევი

ერთ ქართლის სოფელში, დღესასწაულდღეს, ეკლესიაში, როდესაც მღვდელმა სახარება უნდა წაიკითხოს და ხალხს უნდა მოუბრუნდეს ჯვარის დასაწერად,—ამ დროს აქ მდგომარე კნეინას თურმე ცხვირს დააცემინა. მღვდელმა სახარების კითხვას თავი დაანება, მიუბრუნდა კნეინას და უთხრა:

— ღვთის წყალობა, ქალბატონსა!

— ნეტა არ მიედ-მოედებოდე, მღვდელო! შენ შენი საქმე გაიკეთეო! უთხრა თურმე კნეინამ.

ამ მღვდელს ეხლა „ღვთის წყალობა“ მღვდელს ეძახიან.

*
* *

ერთი დედა-კაცი ს. ჭ. თურმე მალიმალ უქეუფობდა. აკითხვინა მკითხავს, რომ მიზეზი გაეგო. მკითხავმა უთხრა: „თქვენ სოფელში ერთი დიდი მუხის ხე დგას. და იქ იმისი მიზეზით ხარ ავათაო“. წამოვიდა დედა კაცი, სთხოვა მღვდელს, რომ დიდი მუხის მიზეზი გამოვიდე და პარაკლისი მიხადეო. მღვდელი დარიგების მაგიერ დაუძახებს დიაჩოქს, წაიღებს ჯვარს და ოლარს და მოჰყვება პარაკლისს: წმინდაო მთავმოწამეო, დიდო მუხა, ტოტებ ცათა შინა მიბჯენილო, ტოტებ აქეთ-იქით გადმოშვერილო, შეეწიე და ნურარ გამოგვრი მიზეზსა მხევალსა შენსა მა—არი—იამს“!.. აქ თურმე წმინდა მამამ ჩაჰკრა დედა-კაცს დაჩოქილს თავში ჯვარი და შამანიკი გადმოადინა. აქ მოქმედებით კინალამ მომკვდარიყო საწყალი დედა-კაცი, მთავარმოწამის მუხის წყალობას ეღარ გაეჭრა.

*
* *

მდიდარს ამერიკელს დჰიურანს ერთი მილიონი ფული შეუწირავს თავის ქალაქში საქალებო უნივერსიტეტის გასახსნელად. უკვე ლა პროფესორები და გამგებლები ამ უნივერსიტეტის თურმე ქალები არიან.

*
* *

შარშან შესდგა პეტერბურგში რამდენიმე ქალისაგან პატარა წრე, რომელიც ადვოკატობისათვის ემზადება. ერთს რუსულს გაზეთში იწერებიან ახლა, რომ ამ წრეში სულ თექვსმეტი ქალი არისო და ზოგიერთი იმათგანი ძალიან კარგათ არიან საადვოკატოთ მომზადებულიო. ახლა უნდათ თურმე, სთხოვონ მთავრობას, რომ იმათაც მიეცეთ ადვოკატობის უფლება, როდესაც ეგზამენს დაიჭერენ და უველა სხვა პირობებს, რომელნიც ადვოკატისთვის საჭიროა, კანონიერად აასრულებენ.

*
* *

სავაჭრო

ინტენდანტის სამაზრო მმართველობა აცხადებს, რომ ამ 1875 წელს გადასატანი იქნება პრაქიანტი:

ქუთაისის გუბერნიაში: ფოთიდამ ქუთაისს: 10 364 ჩეტვერტი ფქვილი და 1,389 ბურღული. ქუთაისიდამ სვანეთს; 792 ჩეტვ. ფქვილი და 106 ბურღული.

სოხუმის მაზრაში: 1,844 ჩეტვ. ფქვილი და 261 ბურღული.

უველა ამ პრაქიანტის გადატანა შეიძლება ერთს მეიღვარადრეს მიენდოს და შეიძლება რამდენსამესაც. ნახევარი პრაქიანტი უნდა მიიტანონ ადგილზე 1 აგვისტომდი და დანარჩენი ნახევარიც 1 სექტემბრისთვის 1875წ. ვაჭრობა ქუთაისის გუბერნიაში გადასატან პრაქიანტისთვის დანიშნული ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში 28 თებერვალს, და სოხუმში გადასატანისათვის 10 მარტს 1875წ.

ინჟენერის მაზრის სამმართველო გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ იჯარით ალება შემდეგი მუშაობისა ალექსანდროვსკის ჭორტში (მანგიშლაკის ნახევარ კუნძულზე): ერთი იქაური სახელმწიფო სახლი უაზარმათ უნდა გადაკეთდეს, რომლისთვისაც დადებულია 7,352 მანეთი და 28 კაპ. და უნდა აშენდეს ფეხის ადგილი გარნიზონისთვის —2,431 მანეთის, სულ 9,783 მან. 28 კაპეიკის. ვაჭრობა თებერვლის 15 არის დანიშნული თფილისში სამაზრო ინჟენერის სამმართველოში.

კავკასიის სამხედრო მაზრის საინჟინრო მმართველობა გამოიხმობს მსურველებს, იკისრონ იჯარით რემონტი დეშლაგარის (დაღესტნის) უაზარმებისა, რომლისთვისაც 4,691 მანეთი და 43 კაპეიკია დანიშნულია.

ვაჭრობა დანიშნულია პეტროვსკში თებერვლის 15-ს; ვაჭრობა მხოლოდ ერთხელ იქნება.

კავკასიის სამხედრო მაზრის საინჟენერო მმართველობა გამოიხმობს მსურველებს, იკისრონ იჯარით ალება მუშაობისა ზალალოღლის უაზარმის გადაკეთება და აფიცრის ფლიგელისა, სულ 3,925 მანეთისა და 28 კაპეიკის.

ვაჭრობა დანიშნულია თფილისში, საინჟენერო სამმართველოში, 13 თებერვალს ამ წლისას.

ოთხის თვის ანგარიში

თიოლეთის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა

(იგივე ერთის წლის 1874 წ.)

წევრებათ ირიცხებიან ამხანაგობაში 207 კაცი.

ა) შემოსავალი:

1	წევრთაგან შემოტანილი საწილო ფული.	2708 მ.—80 კ.
2	სარგებელი აღებული გასესხებული ფულისაგან	210 მ.—90 კ.
3	ამხანაგობამ ისესხა კერძო პირებისაგან	1150 მ.—„—
4	სასარგებლოთ შემოტანილი წევრთაგან	200 მ.—„—
5	დაბრუნდა სესხი ვადის გასვლამდინ	50 მ.—„—
6	მიღებულა სარგებელი თბილისის სავაჭრო ბანკიდამ . . .	4—„—
7	სხვა და სხვა	64—79 „

სულ შემოსულა. .4388 მ. 49 კ.

ბ) გასავალი

1	გასესხებულა . . .	3485 მ.—„—
2	დახარჯულა გამგეობაზედ	197 მ.—25 კ.
3	სარგებელდა დაბრუნებული ვადაზედ წინეთ გადახდილის ნასესხისა	1 მ. „
4	სარგებელი მიცემული სასარგებლოთ შემოტანილის და ნასესხის ფულებზედ	27 მ.—„—
	სულ გასულა. .	3710 მ. 25 კ.

3) კასსა

1	შეტანილია თბილისის სავაჭრო ბანკში	400 მ.—„—
2	ნაღდი ფული არის კასსაში	278 მ. 24 კ.
		678 მ. 24 კ.

თანხმად § 70 წმინდა მოგება გაინაწილა:

1	სათადარიგო თანის შესადგენლათ	5 მ. 40⅖ კ.
2	მოგებაწილადის ფულისა 49 მ. 3½კ.	
		54 მ. 44 კ.

1 იანვარს 1875 წელს არის:

1	წილის ფული . .	2708 მ. 80 კ.
2	სასარგებლოთ შემოტანილი	200მ.„
3	სესხი შემდეგში	1150 მ. —„—
4	სათადარიგო თანი. .5	მ. 40⅖ კ.
5	მოგებაწილის ფულზედ. 49მ. 3½ კ.	
	სულ . . .	4113 მ. 24 კ.
1	გასესხებული მიუცემლად ახალის ვადისა.	3435 მ.—„—
2	თბილისის სავაჭრო ბანკში არის	400 მ.—„—
3	ნაღდი ფული არის კასსაში	278 მ. 24 კ.
	სულ . . .	4113 მ. 24 კ.

გამგებელნი { პეტრე ბაქრაძე, ვასილი დოდაევი, თ. ლევ. ზანდიერი

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	8	18	8	17				
მცხეთა. . .	9	18	10	—	-	68	-	38
გორი . .	11	39	1	43	2	40	1	23
სურამი . .	1	52	4	30	3	92	2	18
ბეჟათუბანი	3	45			4	42	2	46
ყვირილა .	6	49			5	81	3	23
ქუთაისი. .	7	55			6	75	3	75
სამტრედია .	9	2			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	10				8	57	4	76
ფოთი. . .	11				9	75	5	42
ფოთი . .	7	38						
ახ.-სენაკი.	9	11			1	18	-	66
სამტრედია.	10	12			2	6	1	14
ქუთაისი .	11	17			3	4	1	69
ყვირილა. .	12	38			3	98	2	21
ბეჟათუბანი	3	27	ღამე		5	33	2	96
სურამი . .	4	57	12	30	5	84	3	24
გორი . .	7	23	3	31	7	36	4	9
მცხეთა . .	9	52			9	8	5	4
თფილისი .	10	49	8	2	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ—ხუთშაბ. საღ. 6 საათ.
სტამბოლს—კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:
ფოთს—ოთხშაბათს, ღამით.
ოდესას—პარასკევს, გათენებისას

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ჭერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მ.	კაპ.
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს —ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ახალთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:
თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს —ოთხშაბ.

გ) გორიდამ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:
ყოველგან—ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში:	კაპ.
ღია წიგნის	5
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	10

ბირჟა

პეტერბურგი, 12 იანვარს.

ერთი მანეთი ღირს:

ლონდონში 33½ პენსი.	—	84
პარიჟში 349½ სანტიმი.	—	89
ესკონტი(სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	97	75
მოგებიანი(პირველისესხი)	195	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	195	—
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზღვ. ბანკისა.		
ხერსონის ბანკის (5½)	84	50
მოსკოვის (5%). . . .	86	50

აქციები:

ოდესის სავაჭრო ბანკის.	235	—
ფოთი-თფილ.რკინ. გზის	133	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
ქავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა	მან.	კაპ.
თფილისი, 2 თებერვ.		
პური შორაგალის ფთ.	1	10
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ქრევნისა, ფუთი .	5	65
— ამერიკისა, ფუთი. .	6	60
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	6	40
— მარაქამისა ფთ. .	4	—
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	30
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	60
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	70
სპირტი, ვედრო. . .	7	—
შაქარი, კარგი ფუთი .	8	50
— ფხვნილი ფუთი . .	7	—
ყავა გრეკალი ფუთი .	19	50
ზეთი ქუნჟუთისა ფთ.	6	40
ოქრო ½ იმპერიალი. .	5	90

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Февраля 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი